

ოთარ გამყრელიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის ერთი გადაწყვეტილების გამო

ოთარ გამყრელიძე

*თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
ამავე ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და
კრიმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2009 წლის 6 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე მორიგი გადაწყვეტილება (#2/1/415) გამოიტანა. სასამართლო პროცესზე მოპასუხედ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დავის საგანს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლთან შესაბამისობა წარმოადგენდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 142-ე მუხლთან დაკავშირებული სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში პირველად არ შესულა. ჯერ კიდევ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით (2/3/182, 185, 191) საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მეორე ნაწილი ძალადაკარგულად ცნო კონსტიტუციის მე-18 მუხლთან შეუსაბამობის გამო. ამით 142-ე მუხლი მთლიანობაში თითქოს უკვე საბოლოოდ ჩაჯდა საკონსტიტუციო მოთხოვნების ჩარჩოებში. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ მუხლის კონსტიტუციურობის საკითხი კვლავ საეჭვო გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით 142-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა ასეთი შინაარსის „ვ“ პუნქტი: „პირი შესაძლოა მიიმალოს“. სწორედ აი ეს სიტყვები მიიჩნია მოსარჩელემ ანტიკონსტიტუციურად, კონსტიტუციის მე-18 მუხლთან შეუსაბამოდ. მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2009 წლის 6 აპრილის ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილებით სარჩელი ამჯერად არ დააკმაყოფილა.

როგორც უკვე ვთქვით, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის ორივე აქ დასახელებულ გადაწყვეტილებაში დავის საგანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთი და იგივე მუხლია. ამიტომ, სანამ 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებას არსებითად შევცნებოდეთ, მინდა ორიოდ სიტყვით გავიხსენო საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება. კოლეგიის ამ გადაწყვეტილებით ძალადაკარგულადაა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის შინაარსი ასეთი იყო: დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი შეიძლე-

ბა დააკავონ – „თუ არსებობს სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი მიტანილ იქნეს პირზე. ეს პირი შეიძლება დააკავონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი გაქცევას ცდილობდა, ან მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან არ არის დადგენილი მისი ვინაობა“.

142-ე მუხლის მეორე ნაწილის ეს ნორმა მაშინ სადავო გახდა იმის გამო, რომ პრაქტიკაში მას შეეძლო თვითნებობისა და ადამიანის უფლებების დარღვევისათვის შეეწყობოდა ხელი. საკონსტიტუციო კოლეგია 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში ამის გამო საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები უნდა იყოს ცალსახა და გასაგები, რათა არ იძლეოდეს მათი ორაზროვანი განმარტების შესაძლებლობას“. ამ სიტყვების სისწორეს ადასტურებს 142-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელშიც ზუსტად არის ჩამოთვლილი ის შემთხვევები, როცა დანაშაულის ჩადენაში ეჭმიტანილის დაკავებაა შესაძლებელი. ეს შემთხვევებია: „ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიციწო დაზარალებულმა; ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ“.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა აზრი ჰქონდა კანონში ამ ზუსტ ჩამონათვალს მაშინ, როცა 142-ე მუხლის მეორე ნაწილში გვხვდებოდა ისეთი ბუნდოვანი ცნება, როგორც იყო „თუ არსებობს სხვა მონაცემები...“ ეს სიტყვები ხომ პრაქტიკაში სრული თვითნებობის შესაძლებლობას ქმნიდა და ადამიანის თავისუფლების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიას ძირს უთხრიდა?! სწორედ ამის გამო იყო, რომ 142-ე მუხლის მეორე ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად ცნო. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც ამჟამად ჩვენი განხილვის ძირითად საგანს წარმოადგენს. მასში ნათქვამია: „46. კოლეგიის მოსაზრება სავსებით შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სხვა აზრსაც, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე. ეს მონაცემები შესაძლებელია საფუძველად დაედოს ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას (იხ. 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, 22-ე გვ.)“.

მაგრამ, თუ კოლეგია ამ ნაწილში ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას, მაშინ გაუგებარია, რატომ არ დააკმაყოფილა მან სახალხო დამცველის სარჩელი, რომელიც 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის კონსტიტუციის მე-18 მუხლთან შეუსაბამობას ამტკიცებდა? სახალხო დამცველი თავის სარჩელში ამბობს, რომ „სადავო ნორმა შინაარსობრივად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაკონსტიტუციურად ცნობილი 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის მატარებელია. 142-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირის დაკავება შეიძლებოდა სხვა მონაცემების საფუძველზე თუ „იგი გაქცევას ცდილობდა...“

მაშასადამე, 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების გამოტანის დროს დავის საგანს წარმოადგენდა სიტყვები: ადამიანის დაკავება შეიძლებოდა „სხვა მონაცემების“ საფუძველზე, „როცა იგი გაქცევას ცდილობდა“. რაც შეეხება 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებას, აქ დავის საგანი იყო სიტყვები: „ვ“/ პირი შეიძლება მიიმალოს“.

თუ ამ სამი სიტყვის „პირი შეიძლება მიიმალოს“ შინაარსს გავიზიარებთ, აშკარად დავინახავთ, რომ ეს სიტყვები საგამოძიებო პრაქტიკაში თვითნებობის გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე სიტყვები „როცა იგი გაქცევას ცდილობდა“. „გაქცევას ცდილობდა“ უფრო კონკრეტული აზრის გამომხატველია, ვიდრე სიტყვები „პირი შეიძლება მიიმალოს“. აქ სიტყვა „შეიძლება“ სრულ შესაძლებლობას იძლევა თვითნებობისათვის. „შეიძლება“ ძალიან აბსტრაქტული ცნებაა და საკითხისადმი სუბიექტური მიდგომის გაცილებით მეტ შესაძლებლობას ქმნის.

ასეთსავე დასკვნამდე მივალთ, თუკი სიტყვებს „პირი შეიძლება მიიმალოს“ სხვა კუთხითაც შევადარებთ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების განხილვის საგანს. მხედველობაში მაქვს სიტყვები „თუ არსებობს სხვა მონაცემები“. ამ სიტყვებში ნაგულისხმევი აზრი ისეთივე ფართო და არაკონკრეტულია, როგორც აზრი, რომელიც იგულისხმება სიტყვებში „პირი შესაძლოა მიიმალოს“. სიტყვა „სხვა“ ამ თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება სიტყვისაგან „შესაძლოა“. ამიტომ გაურკვეველია, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, როცა, ერთი მხრივ, აღიარა, რომ „კოლეგიის მოსაზრება საგვებით შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სხვა აზრსაც, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ ცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე. ეს მონაცემები შესაძლებელია საფუძველად დაედოს ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას“. ხოლო, მეორე მხრივ, სიტყვები „პირი შეიძლება მიიმალოს“ ანტიკონსტიტუციურად არ მიიჩნია. თუკი ადამიანის დაკავება „სხვა მონაცემებზე“ დაყრდნობით, „შესაძლებელია დაედოს საფუძველად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას“, მაშინ რატომ არ შეიძლება იგივე ითქვას სიტყვებზე „პირი შეიძლება მიიმალოს“? რატომ არ შეიძლება, რომ ეს სიტყვებიც „დაედოს საფუძველად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას“? როცა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის კონსტიტუციურობას აფასებდა, ნუთუ მას თვალში არ მოხვდა 142-ე მუხლის პირველი ნაწილის სხვა პუნქტები, სადაც, როგორც უკვე ითქვა, ზუსტად, არაორაზროვნად და ყველასათვის გასაგებად არის ჩამოყალიბებული ეჭვიმითანის დაკავების საფუძველები! როგორ შეიძლება, რომ ადამიანს, რომელიც ამ მუხლის პირველ ნაწილს წაიკითხავს, მხედველობიდან გამორჩეს „ვ“ პუნქტის ასეთი მკვეთრი განსხვავება სხვა პუნქტებისაგან!

რაც მთავარია, საკონსტიტუციო კოლეგიამ გადაწყვეტილებაში გვერდი აუარა და საგანგებო მსჯელობის საგნად არ აქცია კონსტიტუციურ სარჩელში დასმული ერთი მეტად არსებითი საკითხი. ჩვენი მსჯელობიდან აშკარად გამოიკვეთა ის დასკვნა, რომელიც კონსტიტუციურ სარჩელში იყო გაკეთებული. „სადავო ნორმა შინაარსობრივად – ვკითხულობთ სარჩელში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაკონსტიტუციუ-

რად ცნობილი 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის მატარებელია” (იხ. საკონსტიტუციო სარჩელი, მე-5 გვ.).

ამ საკითხზე საკონსტიტუციო კოლეგიას თავის გადაწყვეტილებაში პირდაპირი, დამაჯერებელი პასუხი არ გაუცია. პირდაპირ არ ცდილობს, დაასაბუთოს, 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების საგანი არსებითად განსხვავდებოდა თუ არა მისი განხილვის საგნისაგან. უფრო მეტიც, კოლეგია მსჯელობის დროს ამკარა წინააღმდეგობაში ვარდება. როგორც უკვე ვნახეთ, „კოლეგიის მოსაზრება სავსებით შეესაბამება” საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების” საფუძველზე, ეს მონაცემები შესაძლოა საფუძვლად დაედოს ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას (იხ. 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, 22-ე გვ.)”. როგორც ვხედავთ, კოლეგია ეთანხმება 2003 წლის 29 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვები „სხვა მონაცემები” კონსტიტუციის მე-18 მუხლს ეწინააღმდეგებოდა, რომ ეს „სხვა მონაცემები” შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ ეჭვს.

მაგრამ უბრალო ეჭვი არ შეიძლება დაედოს საფუძვლად ადამიანის ეჭვმიტანილის სახით დაკავებას. ამიტომ საკონსტიტუციო კოლეგიის აზრით, ამისათვის „უნდა არსებობდეს საფუძვლიანი და გონივრული ეჭვი”, რომ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული. ამ საკითხში კოლეგია ეთანხმება საკონსტიტუციო სარჩელს, რომელშიც არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ადამიანის დაკავება არ შეიძლება, თუ არ არის დადგენილი მის მიერ დანაშაულის ჩადენის „საფუძვლიანი ეჭვი”. სადავო გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „ეჭვი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა, მაგრამ პირის თავისუფლებაში ჩარევა ვერ მოხდება იმგვარი ეჭვის საფუძველზე, რომელიც ემყარება მხოლოდ სუბიექტურ განწყობას”. ამიტომ „ეჭვი უნდა იყოს საფუძვლიანი (იხ. გადაწყვეტილება, მე-15 გვ.)” - დაასკვნის აქაც კოლეგია.

ახლა ვნახოთ, გადაწყვეტილებაში როგორ არის ამ მხრივ შეფასებული სადავო ნორმა, ესე იგი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ” პუნქტი – „პირი შესაძლოა მიიძალოს”. ამ ნორმის შეფასებისას კოლეგია ყოველნაირად ცდილობს, გვერდი აუაროს საკითხის არსს. იგი თავისი მსჯელობის დროს კმაყოფილდება მხოლოდ ზოგადი ფრაზებით და ერთი სიტყვითაც არ იხილავს იმ საკითხს, რამდენად უწყობს ხელს ეს ნორმა „საფუძვლიანი ეჭვის” დადგენას. „22. თუ პირის დაკავებას – ვკითხულობთ გადაწყვეტილებაში – სადავო ნორმა დაუშვებს იმ მოთხოვნების დარღვევით, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება, მაშინ ის არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არ ექვემდებარება თანაზომიერების ტესტს და ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს” (მე-16 გვ.).

ერთი შეხედვით, ამ ტექსტიდან ისე ჩანს, თითქოს სადავო ნორმა „პირი შესაძლოა მიიძალოს” დანაშაულის ჩადენის „საფუძვლიანი ეჭვს” ქმნის. ამ ნორმამ არ უნდა დაუშვას ადამიანის დაკავება „საფუძვლიანი ეჭვის” არარსებობის შემთხვევაში, როგორც ეს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული. ამას უნდა ნიშნავდეს სიტყვები: სადავო ნორმამ არ უნდა დაუშვას ადამიანის დაკავება „იმ მოთხოვნების დარღვევით, რაზეც ზემოთ გამახვილდა ყურადღება”. ზემოთ კი სწორედ „საფუძვლიანი ეჭვზე” იყო ლაპარაკი.

მაგრამ ცოტა ქვემოთ გადაწყვეტილებაში ამის საწინააღმდეგოდ ნათქვამია, რომ „კანონმდებლის შესაძლებლობას აღემატება გონივრული ეჭვის წარმოქმნის შემთხვევებისა და იმ მონაცემების ამომწურავი ჩამონათვლის დადგენა, რომლებიც შეიძლება დაედოს საფუძვლად ეჭვს. ის, თუ რამდენად ქმნის ესა თუ ის მონაცემი გონივრული ეჭვის საფუძველს, კონკრეტულ შემთხვევაში არის გასარკვევი. მთავარია, რომ კანონმდებელი ადგენს ზოგად კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზეც შეიძლება ამ კონკრეტული შემთხვევების განხილვა და შეფასება” (იხ. გადაწყვეტილება, 22-ე გვ.).

როგორც აქედან ჩანს, რახან „გონივრული ეჭვის” შემთხვევათა ამომწურავი ნუსხის დადგენა კანონმდებლის შესაძლებლობებს აღემატება, რახან კანონმდებელი ადგენს მხოლოდ „ზოგად კრიტერიუმებს”, მაშინ ისე გამოდის, რომ „საფუძვლიანი” ეჭვი უნდა დაადგინოს პოლიციელმა ან სხვა ამისათვის უფლებამოსილმა მუშაკმა. სხვა აზრის გამოტანა კოლეგიის ამ მოსაზრებიდან შეუძლებელია. აი, სწორედ აქ არის ჩამარხული სადავო საკითხის მთელი არსი. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ დაეთანხმა კოლეგია 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას, რომელმაც ძალადაკარგულად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვები „თუ არსებობს სხვა მონაცემები”. ვინმეს მიმართ დანაშაულის ჩადენის ეჭვის მისატანად. ეს სიტყვები საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ მაშინ ხომ იმიტომ ცნო ძალადაკარგულად, რომ მათ საგამოძიებო პრაქტიკაში თვითნებობისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევისათვის ხელის შეწყობა შეეძლოთ. ჩვენ ხომ ზევით დაწვრილებით გავაანალიზეთ, რომ არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს სადავო ნორმასა „პირი შეიძლება მიიმალოს” და იმ ნორმას შორის, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად ცნო.

მოდით, დავუბრუნდეთ ისევ განსახილველი გადაწყვეტილებიდან ზემოთ მოტანილ სიტყვებს: „კანონმდებლის შესაძლებლობას აღემატება გონივრული ეჭვის წარმოქმნის შემთხვევებისა და იმ მონაცემების ამომწურავი ჩამონათვალის დადგენა, რომლებიც შეიძლება დაედოს საფუძვლად ეჭვს”. ამ აზრს კოლეგია გადაწყვეტილებაში სხვა ადგილასაც იმეორებს. მე-19 გვერდზე ვკითხულობთ: „კოლეგია არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევების კონკრეტულ ჩამონათვალს და სხვა შემთხვევებში გონივრული და საფუძვლიანი ეჭვის გაჩენა შეუძლებელია. „ეჭვი” არ არის კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრადი კატეგორია და გაჩნდება თუ არა ის, ეს დამოკიდებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზე კონკრეტულ შემთხვევაში”.

როგორც ჩანს, კოლეგიას უნდა, ამით დაგვიმტკიცოს, რომ, ერთი მხრივ, ის აღიარებს „საფუძვლიანი ეჭვის” კონსტიტუციურ პრინციპს, მეორე მხრივ კი, მას ვითომ აწუნებს ის გარემოება, რომ „საფუძვლიანი ეჭვი” ისეთი ცხოვრებისეული გარემოებაა, რომელსაც კანონმდებელი ამომწურავად ვერ ჩამოთვლის კანონის ტექსტში, თითქოს ეს შეუძლებელი და მიუღწეველი რამაა.

ჯერ ერთი, ვინ მოსთხოვა კანონმდებელს, რაც კი ცხოვრებაში „გონივრული ეჭვის” შემთხვევა შეიძლება გაჩნდეს, გინდა თუ არა, ყველა ერთად მოიძიე და კოდექსში ჩაწერეო.

ასეთი აზრი მე ჯერ არსად არც ამომიკითხავს და არც მომიხმენია. „ამომწურავი ჩამონათვალის“ ცნება სულ სხვა რამეს გულისხმობს. მაგალითად, ცნობილია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დანაშაულებრივ ქმედებათა ამომწურავი ჩამონათვალი. ამის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება არც ერთი ის ქმედება, რომელიც კოდექსში არ არის შეტანილი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცხოვრებაში ხვალ არ შეიძლება აღმოჩნდეს ქმედება, რომლის კოდექსში შეტანა და დანაშაულად გამოცხადება აუცილებელი იქნება. თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში სოციალური ცხოვრება ისე სწრაფად ვითარდება, ისეთი ტემპით მიდის წინ, რომ ამის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

ასევე უნდა მივუდგეთ „გონივრული (საფუძვლიანი) ეჭვის“ შემთხვევების საკითხსაც და დავეთანხმეთ იმ აზრს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ შემთხვევების ამომწურავი ნუსხა უნდა იყოს მოცემული. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ „საფუძვლიანი ეჭვის“ ზოგიერთი შემთხვევა კანონმდებელს გამოორჩეს. მაგრამ მომავალში კანონმდებლობა შეიძლება შეივსოს და კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს. ასეთი მიდგომა საკითხისადმი პიროვნების თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, თუ ჩვენ საპროცესო კოდექსში „გონივრული ეჭვის“ შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალზე უარს ვიტყვით, ამით საფრთხეს შევუქმნით ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპს. ვისა აქვს იმის გარანტია, რომ პოლიციელი ან საგამოძიებო ორგანოს მუშაკი არ შეცდება და უბრალო ეჭვს „საფუძვლიან ეჭვად“ არ მიიჩნევს. არც ის არის გამორიცხული, რომ კანონში „გონივრული ეჭვის“ შემთხვევების ამომწურავი ჩამონათვალის არარსებობა ბოროტად გამოიყენოს საგამოძიებო ორგანოს მუშაკმა. მით უმეტეს, შეიძლება მოხდეს ეს საქართველოში, სადაც სამართლებრივი ცხოვრების დონე დღეისათვის საკმაოდ დაბალია.

მეორეც, ყველაფერ ზემოთ თქმულსაც რომ თავი დავანებოთ, ერთ მნიშვნელოვან საკითხს მინდა მივაქციო აქ მკითხველის ყურადღება. საკონსტიტუციო სარჩელში აღნიშნულია, რომ ადამიანის დაკავებისათვის აუცილებელია არსებობდეს დანაშაულის ჩადენის „საფუძვლიანი ეჭვი“. სარჩელი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლს, რომელშიც ასევე აღნიშნულია, რომ ადამიანის „კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად“ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის „საფუძვლიანი ეჭვი“.

ამ აზრს ეთანხმება თვითონ საკონსტიტუციო კოლეგიაც. აქ განსახილველ გადაწყვეტილებაში კოლეგია აღნიშნავს, რომ „ეჭვი უნდა იყოს საფუძვლიანი“, „უნდა არსებობდეს საფუძვლიანი და გონივრული ეჭვი, რომ პირმა, რომელიც დაკავებულია, ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული“ (იხ. გადაწყვეტილება, მე-15 გვ.).

მაგრამ კოლეგია ამავე დროს გადაწყვეტილებაში კატეგორიულად ამტკიცებს: „კოლეგია არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევების კონკრეტულ ჩამონათვალს და სხვა შემთხვევებში გონივრული და საფუძვლიანი ეჭვის გაჩენა შეუძლებელია“ (იხ. გადაწყვეტილება, მე-19 გვ.).

მოდით, ამის შემდეგ დავაკვირდეთ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის ტექსტის დასაწყისს „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვე-

ვებში”. როგორც ვხედავთ, აქ კონსტიტუცია გვითითებს კანონზე, რომლის საფუძველზეც ხდება ადამიანის დაკავება. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლი. კონსტიტუცია საკითხს საერთოდ ზოგადი მნიშვნელობით წყვეტს და ყოველი საკითხის დაკონკრეტება, მის სიღრმეში წვდომა, სპეციალური კანონმდებლობით ხდება. კონსტიტუცია რომ ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს მთელი სიღრმით ამომწურავად ასახავდეს, მაშინ სპეციალური კანონმდებლობა საჭირო აღარ იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, თუკი 142-ე მუხლში არ იქნებოდა ადამიანის დაკავების შემთხვევების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც კონსტიტუციის მე-18 მუხლში არ არის მოცემული, მაშინ 142-ე მუხლი აზრს დაკარგავდა და კონსტიტუციის მე-18 მუხლიც საკმარისი იქნებოდა ადამიანის დაკავებისათვის. კონსტიტუციის მე-18 მუხლი ზოგადად გვითითებს კანონზე და გვუბნება, რომ ადამიანის დაკავება შესაძლებელია „კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში”. მაშასადამე, კანონმა, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლმა, უნდა ჩამოგვითვალოს ის შემთხვევები, როცა ადამიანის დაკავებაა შესაძლებელი. მაგრამ იმ შემთხვევების ნუსხა, რომელთა დროს ადამიანის დაკავებაა შესაძლებელი, უნდა იყოს ამომწურავი. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტიტუციის მე-18 მუხლის მითითებას აზრი დაეკარგებოდა, როგორც ეს ზემოთ უკვე ვთქვი.

კიდევ ერთ არსებით საკითხს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. იმისათვის, რომ კოლეგიას სადავო ნორმის კონსტიტუციურობა დაემტკიცებინა, მას გადაწყვეტილებაში, ერთი მხრივ, ხაზი უნდა გაესვა და გამოეყლინა არსებითი განსხვავება ამ ნორმასა და 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულ ნორმას შორის („სხვა მონაცემები“), ხოლო, მეორე მხრივ კი, უნდა დაედგინა არსებითი მნიშვნელობის საერთო ნიშნები საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის სხვა პუნქტებთან. ჩვენ ზემოთ დაწვრილებით შევხებით იმ საკითხს, რომ სადავო ნორმასა („პირი შესაძლოა მიიმალოს“) და იმ ნორმას შორის, რომელიც ძალადაკარგულად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ („თუ არსებობს სხვა მონაცემები“) არავითარი არსებითი სხვაობა არ არსებობს. ამიტომ ამ საკითხზე აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. ორიოდ სიტყვით შევეხები მხოლოდ იმ საკითხს, თუ რა განსხვავებაა საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტსა და ამავე ნაწილის სხვა პუნქტებს შორის.

„ვ“ პუნქტის მიხედვით, ეჭვმიტანილის სახით ადამიანი შეიძლება დააკავონ, თუ ის „შესაძლოა მიიმალოს“. ახლა შევადაროთ ეს სიტყვები 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის ტექსტს. აქ ნათქვამია: „პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე“. ვის შეუძლია თქვას, რომ ამ ტექსტში არ ჩანს „საფუძვლიანი ეჭვი“, რომ ამ კაცმა ჩაიდინა დანაშაული? რასაკვირველია, ამას ვერავინ იტყვის. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით „ვ“ პუნქტის მიმართ „პირი შესაძლოა მიიმალოს“. ეს ტექსტი ძალიან აბსტრაქტულია და მოკლებულია კონკრეტულობას. ჩვენ არ ვიცით, რა გააკეთა მან და რის გამო აპირებს მიმალვას. უფრო მეტიც, მიმალვის განზრახვაც საეჭვოა, არ ჩანს ეს ტექსტიდან. ის „შესაძლოა“ მიიმალოს, მაგრამ რით არის დასაბუთებული, რომ ის მიმალვას აპირებს?

ჩავყვეთ ქვემოთ. იგივე სურათს ვნახავთ, თუ ჩვენ ახლა 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ბ“ პუნქტების ტექსტებს შინაარსობრივად ერთმანეთს შევადარებთ. მაგალითად, „ბ“ პუნქტის ტექსტი ასეთი შინაარსისაა: „თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც

„პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე“. ეს ტექსტი იმდენად ნათელია, იმდენად განსხვავდება „ვ“ პუნქტის ტექსტისაგან აზრის დადგენის სიზუსტის თვალსაზრისით, როგორც ცა და დედამიწა. ამიტომ მათ განსხვავებაზე აქ აღარაფერს ვიტყვი. ასევე შეგვიძლია ვთქვათ მომდევნო პუნქტებზეც, რომელთა შინაარსი ასეთია: „გ“ პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი“, „დ“ პირი მიიძალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიციწო დაზარალებულმა“, „ე“ პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ“. როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში „ვ“ პუნქტი თითქოს ხელოვნურადაა ჩართული და აშკარად ჩანს, რომ მისი ადგილი აქ არ არის. მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე, როგორც ზემოთ ვთქვით, კოლეგია საერთოდ დუმს.

სამაგიეროდ, საკონსტიტუციო კოლეგია თავის გადაწყვეტილებაში 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტს აანალიზებს საპროცესო კოდექსის ისეთ მუხლებთან მიმართებაში, რომლებსაც სადავო ნორმის ნამდვილი შინაარსის დადგენასთან არავითარი კავშირი არ აქვს. სანიმუშოდ მოვიტან რამდენიმე მაგალითს. გადაწყვეტილების მე-17 გვერდზე ნათქვამია: „სადავო ნორმის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ პირი, რომელსაც აკავებენ ეჭვმიტანილია „დანაშაულის ჩადენაში“ და არა სხვა რამეში. ამ კუთხით მოთხოვნებს უფრო აკონკრეტებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა ნორმები, რომლებიც ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პირის დაკავებისას“.

ამის შემდეგ დასახელებულია საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი თურმე „კიდევ უფრო ავიწროებს დანაშაულთა წრეს და დაკავების გამოყენებას უშვებს იმ დანაშაულის შემთხვევაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით“. გადაწყვეტილებაში მითითებულია აგრეთვე საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც თურმე „იმპერატიულად მოითხოვს, რომ დაკავებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დანაშაულის თაობაზე, რომლის ჩადენაშიც ის არის ეჭვმიტანილი“. შემდეგ გადაწყვეტილებაში დასახელებულია 145-ე მუხლი, რომელშიც ასევე ეჭვმიტანილის ამა თუ იმ უფლებებზეა ლაპარაკი. მომდევნო მე-18 გვერდზე საკონსტიტუციო კოლეგია კვლავ იმეორებს ზემოთ ერთხელ უკვე ნათქვამს და გულდასმით გვისჩვენებს, რომ 141-ე მუხლის პირველი ნაწილით, დაკავების ზოგადი პირობა თურმე ისეთი შემთხვევა ყოფილა, როცა „არსებობს საკმაო საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით“. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 23¹ მუხლზე, რომელშიც „ეჭვმიტანილის“ ტერმინია განმარტებული. ამ განმარტების მიხედვით, ეჭვმიტანილია ის, ვის მიმართაც „არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული“.

მაგრამ რა კავშირი აქვს ამ მუხლებს სადავო ნორმის კონსტიტუციურობასთან, ამაზე გადაწყვეტილებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ასე რომ, საბოლოოდ, კოლეგიის ამ მსჯელობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დასაბუთება შეუძლებელია. თუმცა დაკავებას საფუძველად უნდა დაედოს გონივრული, საფუძვლიანი ეჭვი. მაგრამ, რახან გონივრული, ანუ საფუძვლიანი ეჭვის ამომწურავი ჩამონათვალი კანონმდებლობაში მოცემული არ არის და არც შეიძლება იყოს, როგორც ამას

კოლეგია გვიმტკიცებს, ეჭვი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს პოლიციის მუშაკმა. ამით საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება პირდაპირ ეწინააღმდეგება ამავე სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას, რაზედაც ზემოთ დაწვრილებით ვილაპარაკეთ. მაგრამ ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ორი გადაწყვეტილება ურთიერთსაწინააღმდეგოა, თავისთავად წამოჭრის ერთ ახალ საკითხს, რომელზედაც საკონსტიტუციო სარჩელში გამახვილებულია ყურადღება და ამიტომ ჩვენც მას გვერდს ვერ ავუვლით.

დასახელებულ სარჩელში ნათქვამია: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“. ორგანული კანონის სწორედ ეს ნორმა დაარღვია საქართველოს პარლამენტმა, როცა 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით ცვლილება შეიტანა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და 142-ე მუხლის პირველ ნაწილს დაუმატა „ვ“ პუნქტი „პირი შესაძლოა მიიმალოს“. საქართველოს პარლამენტის პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ასეთი დარღვევა გამონაკლისი როდია. დავსახელებ კიდევ ერთ შემთხვევას, რომელიც ჩვენი პარლამენტის ბოლო წლებში მუშაობის დამახასიათებელია. 1997 წლის 21 ივლისის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლი, რომლითაც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო „ქონების კონფისკაცია“. მაგრამ 2005 წლის 25 დეკემბრის კანონით სასჯელთა სისტემას დაემატა სასჯელის ახალი სახეობა „ქონების ჩამორთმევა“ (იხ. სს კოდექსის მე-40 მ., „ი“ პ.). ამით პარლამენტმა ფაქტობრივად აღადგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1997 წელს ძალადაკარგულად ცნო. სულ მალე ეს ცვლილება მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა. კანონის ძალით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება. პარლამენტის ასევე შეზღუდულია კანონით და უფლება არა აქვს, აღადგინოს ის ნორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო. როგორც ვხედავთ, კანონში სხვა წერია, ცხოვრებაში კი სხვაგვარად ხდება. წერე და იკითხეო, ზუსტად ამაზეა ნათქვამი. მაგრამ მარტო ამის თქმა საქმეს ვერ უშველის. საჭიროა მეტი დაფიქრება, თუ როგორ გამოვიდეთ ამ მანკიერი წრიდან.